№ 146 21 მკათათვე, პარასკევი 1866—1878 21 მკათათვე, პარასკევი № 146

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: თთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვისა—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: ცალკეულებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცერონთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ვენა, 18 ივლისს. პორტასა და ინგლისის ელჩს შუა ერთობ გრძელდება პოლაპარაკება შესახებ ზოგიერთი მუხლებისა იმ მოქრიგების, რომლითაც ინგლისმა და ოსმალეთმა ერთმანერთს შეეკრენ. ხვანთქარს ჰსურს, რომ უმისოთ მცირე-აზიაში ინგლისს არც ერთი ახალი წესის შემოღება არ შეეძლოს. რუსები ბესარაბიის დაკავებას ემზადებიან იმ დროსთვის, როცა ბერლინის პიროობა დამტკიცდება. ამ მიზნით რუსის ჯარი დობრუჯიდამ ბესარაბიისკენ იხევს. რუმინიის სამხედრო მინისტრი თავ-თავის ალაგს უნიშნავს იმ ჯარებს რომლებმაც დობრუჯა უნდა დაიკავონ.

ბერლინი, 19 ივლისს. დღეს ბერმანიის ტახტის მემკვიდრემ ხელი მოაწერა მშვიდობიანობის პირობაზე. ტრაქტატის დამტკიცება მოხდება შაფათს.

სტამბოლი, 19 იკლისს. ხმაა, ვითომ ავსტრიის ელჩს, გრაფ ზიჩის, პორტასთვის გამოუცხადებიაო, რომ ავსტრია პორტასთან არა ვითარ წესიერ პიროობას არ შეკრავსო, ოსმალეთის დასაცველათ სერბიისა და ჩერნოგორიის წინააღმდეგ. ავსტრია მხოლოთ ლონისძიებას მიიღებსო, დაიცვას მშვიდობიანობა და წესიერება ამ სამთავროების სამზღვრებზეო.

ვენა, 19 ივლისს. სარაევოში სრული უწესოება სუფევს. მდაბიო ხალხი ჯარს შეეტაკა; შემდეგ სისხლის მღვრელი შეტაკებისა ხალხმა ჰიერიშით აიღო არსენალი.

საქართველო

ახალი მოვალეობა

ბათუმისა და აჭარის მხრის შემოერთება ჩვენს ქვეყანასთან დიდს და მძიმე მოვალეობას სდებს ჩვენს ესრედ-წოდებულ განათლებულ საზოგადოებას.

ეს მოვალეობა შემდეგის უბრალო სიტყვებით გამოხატა ახლად ჩვენკენ გადმოსულმა აჭარის შერიფ-ბეგმა ხიმშიაშვილმა:

„განათლებაი ეჭირვება, ბატონებო, იმათ (ოსმალეთის ქართველებს). ამდენი ახალგაზდა კაცები ხართ განათლებულები, წადით, გეიცანით, ზოგი აქ მოიყვანეთ, სკოლები გამართეთ, ასწავლეთ და ასე უნდა. . აბა, როგორი ძმა ხართ, თუ ასე აბდლურად დასტოვეთ?! (ამ წლის „დროება“, № 126).

ორი რომელიმე ხალხის შეერთების დროს, ყველაზე უფრო ძნელი საქმე ის არის, რომ ამ ორ ხალხს შუა ერთმანეთის ნდობა იყოს; თავიდამვე უნდა იყვნენ ესენი დარწმუნებულნი, რომ ერთი მეორის გასაცარცვავად და შესაჭმელად როდი შეერთებულან, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ ერთმანეთს ხელი ხელიში ჩაავლონ და ამნაირად უფრო ადვილად გაიარონ ცხოვრების მძიმე გზაზედ.

ეს დანდობა აქვსთ ჩვენი ახლად შემოერთებულ ოსმალეთის ქართველებსა. იმათ იციან, რომ ჩვენ იმათი ძმები ვართ, რომ ორთავენი ერთს ტაფაში ვიქნებით, ორთავეს ერთი ბედი და უბედობა მოგველის და რომ ერთმანეთის ხელი-ხელში მიცემით ჩვენ შეგვეძლება ჩვენი უღლის გაწევა და მომავალი ცხოვრების გაუმჯობესება.

მაშასადამე ამ მხრით ჩვენსა და ახლად შემოერთებულ ქართველებს შუა არავითარი დაბრკოლება და გაუგებლობა არ იქნება.

საქმე იმაშია—თუ როგორ ეისარგებლებთ ჩვენ იმათის დანდობით, როგორ დავიჭერთ იმათთან თავიდამვე საქმეს, როგორ ვეცდებით, რომ ეს დანდობა გავამართლოთ, არ გავამტყუენოთ და, მართლა, როგორ ძმობას აღმოუჩენთ ჩვენ იმათა.

აი ამ მხრით არის შიში; აი ეს გარემოება გვაშინებს; იმედი არა გვაქვს, რომ ჩვენ ისე დავიჭიროთ საქმე ახალ ძმებთან, რომ იმათ სცნან და დაინახონ, რომ ჩვენ მართლა ნამდვილი, უანგარო და მოყვარული ძმები ვყოფილვართ.

და ამას ვამბობთ იმიტომ, რომ ჩვენ მაგალითი გვაქვს თვალ წინ; მაგალითი იმისი, თუ როგორ მოქმედებენ ჩვენი განათლებული ახალგაზდები ჩვენსავე ქვეყანაში, რუსეთის საქართველოში.

რა გაგვიკეთებია ჩვენ, განათლებულებს, იმ ჩვენი ხალხისათვის, რომლის ოფლით ნაშოვნ პურით გამოვზდილვართ? რაც ამ ხალხმა მოგვცა, მაგიერი მესამედი სარგებლობა დაგვიბრუნებია? რომელ საზოგადო საქმეს მოეკიდეთ ხელი და გავაკეთეთ? რომელი მხარე ხალხის ცხოვრებისა ერთს ნაბიჯზედ არის წინ წაეწიეთ? ერთის სიტყვით, როდის, სად და რასში დაეტყო საქართველოს ხალხს, რომ იმას, ათასობით თუ არა, ათობით და ასობით მაინც ჰყავს განათლებული, სწავლა მიღებული და ავ-კარგის გამომრჩევი შვილები?

საუბედუროთ, ვერც ერთს ამ კითხვაზე სანუგეშო პასუხს ვერ მივიღებთ. ასში ერთი თუ გამოსულა ჩვენთაგანი ისეთი, რომელსაც რაიმე საზოგადო ინტერესისათვის გული შესტკიოდეს, რომელსაც ამ საზოგადო სარგებლობისათვის თავის კერძო, საკუთარი სარგებლობა მეათედიც არის მაინც შეეწიროს; ასში ერთი თუ გამოსულა ისეთი, რომელსაც ახსოვდეს, რომ ის მოვალეა ხალხის წინაშე და ამ ვალს გარდასდა უნდა.

დანარჩენები? დანარჩენები ისეთები არიან, ისე ცხოვრებენ, ისე მოქმედებენ, როგორც „ყველანი“. საზოგადო ინტერესი მჩერად მიაჩნიათ, ხალხზე და იმის საჭირვებაზედ იმდენათ ჰფიქრობენ, რამდენადაც მე და შენ, მკითხველო, შარშანწინდელ თოვლზე; „თავისთვის“ ცხოვრობენ..

როდესაც ამისთანა განათლებული, ამისთანა მოწინავე საზოგადოება გვყავს, დამეთანხმეთ, რომ ბევრი იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ ეს განათლებულები რასმეს გააკეთებენ ახლად-შემოერთებულს ქართველებში. ბევრი იმედი არა, მაგრამ ცოტა კიდევ დაგვრჩენია; და შემდეგ სტატიაში მოვილაპარაკებთ ჩვენ იმაზე—თუ როგორია ეს იმედი, როგორ უნდა შესრულდეს ჩვენი მოვალეობა ოსმალოს ქართველების წინაშე და რა გზას, რა სახსარს უნდა მოვმართოთ თავიდამვე, რომ ეს იმედი შეგვისრულდეს. .

ს. მ.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲮᲣᲪ-ᲣᲑᲜᲘᲓᲐᲛ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲓᲠᲝᲡ ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲦᲔ ᲛᲝᲓᲘᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲑᲐᲜᲐᲙᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲮᲝᲠᲐᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲘᲚᲔᲝᲠᲣᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲐᲥᲕᲗ ᲒᲐᲡᲐᲡᲧᲘᲓᲚᲐᲗᲐᲝ.

ᲥᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲕᲬᲔᲠᲡ, ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲐᲤᲘᲪᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲢᲧᲝᲑᲐᲗ, ᲫᲚᲘᲐᲜ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲣᲜᲓᲐᲗᲝ, ᲠᲝᲛ ᲝᲛᲘ ᲒᲐᲗᲐᲕᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ᲗᲣᲜᲓ ᲘᲡᲔᲔ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ, ᲗᲣᲜᲓ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲐᲘᲜᲪᲐ-ᲓᲐᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲘᲜᲐᲓᲒᲔᲚᲔᲑᲔᲜᲝ. . . . .

*** ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ ᲡᲬᲔᲠᲓᲜᲔᲜ ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲜᲭᲘᲡ-ᲧᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲣᲬᲔᲡᲝᲑᲔᲑᲐ ᲛᲝᲮᲓᲐᲝ; ᲑᲔᲕᲠᲘ ᲘᲡᲔᲗᲘᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲐᲠ ᲔᲠᲒᲔᲑᲝᲓᲐᲗ ᲒᲐᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲗᲘᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲡ ᲙᲔᲜᲭᲘᲗᲓᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲙᲔᲜᲭᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲮᲔᲘᲓᲠᲘᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜᲝ, ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲤᲐᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲦᲐᲠᲘᲩᲔᲑᲘ ᲒᲐᲩᲧᲐᲔᲓᲐᲗᲝ, ᲓᲔᲓᲘᲡ-ᲔᲠᲗᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲖᲝᲒᲔᲡᲝ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲐᲛ ᲣᲬᲔᲡᲝᲑᲔᲑᲐᲡ ᲐᲛᲐᲮᲐᲚᲔᲑᲔᲜ ᲛᲔᲡᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲡᲢᲐᲑᲐᲨᲘ ᲣᲤ. ᲤᲐᲠᲣᲮᲝᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲨᲘ, ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲫᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲐᲝ.

ᲩᲕᲔᲜᲪ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲓᲐᲕᲠᲬᲛᲣᲜᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲣᲬᲔᲡᲝᲑᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝᲗ ᲐᲛ ᲙᲔᲜᲭᲘᲡ-ᲧᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ: ᲐᲛ ᲓᲦᲔᲑᲨᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲔᲜᲐᲮᲔᲗ ᲙᲔᲜᲭᲨᲘ ᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ № 1445 ᲓᲐ № 985 ᲙᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲮᲔᲚ-ᲣᲮᲚᲔᲑᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲘᲐᲠᲔᲑᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲨᲘ!

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲡᲣᲚ 138 ᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲛᲝᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲛᲓᲔᲜᲘᲕᲔ ᲐᲛᲐᲗᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ, ᲔᲘ. Ი. 376 ᲙᲐᲪᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲘᲓᲒᲘᲜᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ 138 ᲙᲐᲪᲨᲘ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲐ ᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲓᲐᲘᲛᲐᲚᲜᲔᲜ! ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲕᲡᲗᲥᲕᲐᲗ, ᲔᲡᲜᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲜᲔᲜ ᲐᲜ ᲓᲐᲘᲛᲐᲚᲜᲔᲜ, ᲘᲛᲘᲗᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ ᲠᲐᲚᲐ ᲘᲥᲜᲔᲜ? ᲕᲡᲗᲥᲕᲐᲗ, ᲘᲡᲘᲜᲘᲪ ᲒᲐᲭᲥᲠᲜᲔᲜ, ᲐᲛ № 1445-ᲛᲓᲔ ᲮᲝᲛ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲑᲘᲚᲘᲠᲘᲐ; ᲐᲛ ᲜᲝᲛᲠᲐᲛᲓᲔ ᲮᲝᲛ ᲝᲗᲮᲯᲔᲠ 376-ᲘᲐ ᲓᲐ ᲜᲣ ᲗᲣ ᲐᲛᲐᲗᲨᲘ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲓᲒᲐ?!

ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐ, ᲒᲕᲘᲙᲕᲘᲠᲡ ᲣᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲣᲨᲕᲐᲜ..

*** ᲗᲘᲗᲘᲥᲛᲘᲡ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲦᲔ ᲛᲝᲒᲕᲓᲘᲡ ᲩᲔᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲦᲐᲠᲘᲑᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲩᲘᲒᲐᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲮᲝᲠᲐᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲕᲘᲠᲔᲑᲐᲖᲔᲓ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲩᲘᲕᲘᲐᲜ ᲐᲛ ᲑᲝᲚᲝᲚᲝᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲘᲫᲘᲠᲘᲡ. ᲒᲐᲩᲜᲓᲜᲔᲜ ᲩᲐᲠᲩᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲔᲕᲔ ᲰᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲔᲜ ᲜᲐᲮᲨᲘᲠᲡ ᲐᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲬᲠᲔᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲣᲩᲕᲔᲓᲔᲑᲘᲐᲜᲝ, ᲰᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲡᲙᲚᲐᲓᲔᲑᲨᲘ ᲐᲚᲐᲒᲔᲑᲔᲜᲝ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲝᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲘ ᲙᲘ ᲐᲛᲗᲐᲕᲘᲗᲔᲕ ᲙᲘᲜᲢᲝᲠᲔᲑᲡᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲜᲐᲧᲘᲓᲘᲝ. ᲓᲐ, ᲠᲐᲚᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚ ᲢᲐᲥᲪᲘᲔᲑᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲐᲥᲪᲔᲕᲔᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲡᲘᲐᲛᲝᲜᲔᲑᲐᲗ, ᲘᲡᲔ ᲒᲐᲰᲧᲘᲓᲘᲐᲜᲝ.

ᲜᲣᲗᲣ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲕᲘᲗ-ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲭᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲡᲔᲪ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲕᲗᲐᲠᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲠᲐᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲔᲘᲜᲐᲮᲐᲛ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲘᲒᲘᲓ, ᲘᲥ ᲔᲡᲬᲠ-ᲛᲔᲗᲘᲥᲘ. ᲠᲐᲪ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲔᲮᲚᲐ ᲘᲛ ᲓᲐᲕᲗᲐᲠᲘᲗᲐ, ᲓᲘᲓᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚ ᲬᲘᲒᲜᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲒᲐᲖᲗᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲕᲐᲠᲗᲩᲘᲐ ᲐᲛ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲗᲓᲐᲛ ᲗᲘᲗᲝᲗ-ᲗᲘᲗᲝᲗ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲝᲗ. ᲘᲫᲔᲓᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲪ ᲗᲐᲜᲮᲛᲐ ᲒᲐᲛᲘᲮᲓᲔᲗ ᲐᲛᲐᲖᲔᲓ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲒᲐᲖᲗᲔᲗᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲙᲚᲔ-ᲛᲘ-ᲙᲚᲔ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲛᲮᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲐᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ „ᲡᲐᲒᲝᲕᲜᲔᲑᲔᲚᲘ.“

ᲘᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲔ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲛᲝᲕᲔᲓᲗ Ქ. ᲓᲣᲨᲔᲗᲨᲘ. ᲩᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘ ᲓᲣᲥᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲣᲥᲜᲔᲛ ᲐᲒᲔᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲓᲣᲥᲜᲘᲡ ᲖᲔᲛᲝ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲑᲐᲚᲙᲝᲜᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲘᲪᲥᲘᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲡᲙᲔᲜ. ᲒᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘᲗ ᲑᲐᲚᲙᲝᲜᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲯᲓᲘᲗ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲣᲨᲔᲗᲨᲘ ᲨᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲜᲐᲩᲐᲚᲜᲘᲙᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲯᲓᲐ. ᲬᲘᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲐᲤᲐᲠᲘ ᲛᲝᲐᲭᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲣᲙᲐᲜᲐ.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲮᲐᲜᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲐᲕᲓᲔᲥᲘᲗ ᲓᲐ ᲬᲐᲕᲔᲓᲘᲗ ᲞᲘᲠ-ᲓᲐ-ᲞᲘᲠ ᲛᲘᲠᲝᲕᲝᲛᲘᲐ ᲡᲣᲓᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ. ᲓᲘᲓᲮᲜᲘᲡ ᲚᲝᲓᲘᲜᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲘᲮᲓᲐ: ᲡᲣᲓᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲖᲐᲚᲐᲨᲘ, ᲓᲐᲒᲕᲘᲙᲠᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲯᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲚᲐᲒᲡᲐ. ᲡᲣᲓᲘᲐᲛ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲠᲩᲔᲕᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲒᲐᲜᲠᲩᲔᲕᲐ. ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲪᲚᲝ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲔᲐᲓᲐᲖᲔᲓ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲞᲝᲕᲔᲡᲢᲙᲔᲑᲘ (ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘ) ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲡᲣᲓᲘᲐ ᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲛᲝᲩᲘᲕᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲣᲬᲧᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲜᲐᲩᲐᲚᲜᲘᲙᲗᲐᲜᲐᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲜᲐᲩᲐᲚᲜᲘᲙᲛᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲛᲘᲑᲠᲣᲜᲐ ᲓᲐ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲐᲝ, ᲠᲝᲛ ᲩᲐᲤᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲧᲐᲕᲡᲝ, ᲡᲣᲚ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ ᲨᲘᲒ ᲨᲣᲐᲒᲣᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘᲝ. ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐᲝ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲧᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲒᲐᲓᲐᲐᲢᲐᲜᲘᲜᲔᲗ.

„ᲐᲛᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲞᲠᲘᲡᲢᲐᲕᲛᲐ ᲘᲛ ᲓᲐᲛᲞᲐᲚ ᲗᲔᲕᲔᲖᲑᲡ ᲓᲐ ᲢᲐᲠᲜᲔᲑᲡ ᲛᲘᲐᲥᲪᲘᲐ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲚᲝᲛᲐᲓ ᲰᲧᲠᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲐᲧᲠᲝᲚᲔᲑᲡ. ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲘᲢᲧᲔᲡ ᲗᲣᲐᲠᲐ ᲛᲔᲗᲔᲕᲔᲖᲔᲑᲛᲐ ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲘ, ᲘᲛᲬᲐᲛᲡᲔᲒᲔ ᲒᲐᲘᲥᲪᲜᲔᲜ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲔᲗᲮᲝᲕᲜᲔᲗ: „ᲜᲣ ᲒᲕᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲗ, ᲒᲚᲐᲮᲐᲗ ᲜᲣ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲒᲪᲔᲛᲗᲝ.“ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲡ „ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡ-ᲪᲔᲛᲐ ᲛᲘᲔᲚᲝ“ ᲓᲐ ᲔᲡ ᲗᲔᲕᲔᲖᲘ ᲙᲐᲠᲒ ᲗᲔᲕᲔᲖᲗᲐ ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲜᲐ.“

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲣᲨᲔᲗᲘ, 14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. ᲬᲐᲠᲡᲣᲚ ᲬᲘᲒᲜᲨᲘ ᲐᲦᲒᲘᲗᲥᲕᲘᲗ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲡᲔᲪ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐᲕᲗᲐᲠᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲠᲐᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲔᲘᲜᲐᲮᲐᲛ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲘᲒᲘᲓ, ᲘᲥ ᲔᲡᲬᲠ-ᲛᲔᲗᲘᲥᲘ. ᲠᲐᲪ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲔᲮᲚᲐ ᲘᲛ ᲓᲐᲕᲗᲐᲠᲘᲗᲐ, ᲓᲘᲓᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚ ᲬᲘᲒᲜᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲒᲐᲖᲗᲔᲗᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲕᲐᲠᲩᲘᲐ ᲐᲛ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲗᲓᲐᲛ ᲗᲘᲗᲝᲗ-ᲗᲘᲗᲝᲗ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲝᲗ. ᲘᲫᲔᲓᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲪ ᲗᲐᲜᲮᲛᲐ ᲒᲐᲛᲘᲮᲓᲔᲗ ᲐᲛᲐᲖᲔᲓ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲒᲐᲖᲗᲔᲗᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲙᲚᲔ-ᲛᲘ-ᲙᲚᲔ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲛᲮᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲐᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ „ᲡᲐᲒᲝᲕᲜᲔᲑᲔᲚᲘ.“

ᲘᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲔ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲛᲝᲕᲔᲓᲗ Ქ. ᲓᲣᲨᲔᲗᲨᲘ. ᲩᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘ ᲓᲣᲥᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲣᲥᲜᲔᲛ ᲐᲒᲔᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲓᲣᲥᲜᲘᲡ ᲖᲔᲛᲝ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲑᲐᲚᲙᲝᲜᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲘᲪᲥᲘᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲡᲙᲔᲜ. ᲒᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘᲗ ᲑᲐᲚᲙᲝᲜᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲯᲓᲘᲗ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲣᲨᲔᲗᲨᲘ ᲨᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲜᲐᲩᲐᲚᲜᲘᲙᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲯᲓᲐ. ᲬᲘᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲐᲤᲐᲠᲘ ᲛᲝᲐᲭᲔᲜᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲣᲙᲐᲜᲐ.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲮᲐᲜᲘᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲐᲕᲓᲔᲥᲘᲗ ᲓᲐ ᲬᲐᲕᲔᲓᲘᲗ ᲞᲘᲠ-ᲓᲐ-ᲞᲘᲠ ᲛᲘᲠᲝᲕᲝᲛᲘᲐ ᲡᲣᲓᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ. ᲓᲘᲓᲮᲜᲘᲡ ᲚᲝᲓᲘᲜᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲒᲕᲘᲮᲓᲐ: ᲡᲣᲓᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲖᲐᲚᲐᲨᲘ, ᲓᲐᲒᲕᲘᲙᲠᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲯᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲚᲐᲒᲡᲐ. ᲡᲣᲓᲘᲐᲛ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲠᲩᲔᲕᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲒᲐᲜᲠᲩᲔᲕᲐ. ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲪᲚᲝ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲔᲐᲓᲐᲖᲔᲓ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲞᲝᲕᲔᲡᲢᲙᲔᲑᲘ (ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲘ) ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲡᲣᲓᲘᲐ ᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲛᲝᲩᲘᲕᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲣᲬᲧᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲜᲐᲩᲐᲚᲜᲘᲙᲗᲐᲜᲐᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲜᲐᲩᲐᲚᲜᲘᲙᲛᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲛᲘᲑᲠᲣᲜᲐ ᲓᲐ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲐᲝ, ᲠᲝᲛ ᲩᲐᲤᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲧᲐᲕᲡᲝ, ᲡᲣᲚ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ ᲨᲘᲒ ᲨᲣᲐᲒᲣᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘᲝ. ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲜᲔᲑᲔᲚᲘᲐᲝ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲧᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲨᲘᲜᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲒᲐᲓᲐᲐᲢᲐᲜᲘᲜᲔᲗ.

ᲘᲛ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝᲗ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲐ: ᲛᲔ ᲕᲐᲠ ᲩᲐᲤᲠᲐᲗ ᲜᲐᲩᲐᲚᲜᲘᲙᲗᲐᲜᲐᲝ, ᲒᲣᲨᲘᲜ ᲜᲐᲩᲐᲚᲜᲘᲙᲛᲐ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡᲐᲝ. ᲓᲐ ᲘᲥᲘ

სუდიამ მოისმინა ეს მიზეზი გადმოხედა ხალხსა, რომელსაც წინათ ერთ საათის ესმოდათ რომ ნაჩალნიკი პოვესტკებს არ აბარებს, რადგანაც ჩაფრები არა მყავსო და სულ სხვა-და-სხვა საჭირო საქმეზედ გაგზავნილი არიანო და ეხლა აღმოჩნდა რომ ჩაფრები საკუთარის საქმისთვის უგზავნია.

ერთმა ჩემმა აქაურ ნაცნობმა მიამბო შემდეგი ამბავი:

შარშან ნაჩალნიკს გადაეცა სუდიისათვის საქმე შესახებ იმისა, რომ ვიღაცა გლეხკაცს ვითომც ეწყენინებინოს სიტყვით თუ საქმით მამასახლისისათვის —სამსახურის დროს. სუდიას რა საკუთრეულია, დაებარებინა ის გლეხკაცი, მამასახლისი და მოწმები. სუდიასთან აღმოჩენილიყო, რომ გლეხ-კაცს არა ვითარიმე დანაშაულობა არა ჰქონიყო, რომ მამასახლისს ეცემა ის კაცი უმიზეზოთ. ამ გვარათ ეჩვენებინათ მოწმებს ფიც-ქვეშა. სუდიას გაუმართლებია საწყალი გლეხ-კაცი და მამასახლისის მოქმედებაზედ მიუწერია ნაჩალნიკისთვის... იმ საქმის ესრე დაბოლოება ნაჩალნიკს დიდად ეწყინა; იმ კაცის გამართლება დამცირებაა ჩემიო და ნაცვლად ოპელაციისა მოუფიქრებია დაბარება მოწმებისა და უეზდის უპრავლენიაში ახლად ჰკითხა. უპრავის სიტყვითა უპრავლენია მეორე ინსტანციათ გაუხდია. მოსულან მოწმები და უბრძანებია ნაჩალნიკს თავის თანაშემწესთვის, რომ ეკითხა. თანა შემწე დამჯდარა სტოლთან, აუღია კალამი და თანა-დასწრებით თვის ნაჩალნიკისა, უკითხამს მოწმებისათვის, რომელთაც გაუმეორებიათ ის ჩვენებები, რომელიც უთქვამთ სუდში—ფიცქვეშ. ნაჩალნიკს საშინლათ ჰსწყენია გაჯავრებული გაუყრია მოწმები და გაქცეულა თავის კაბინეტში გულ დათუთქული, რომ თავის ნება ვერ გაიყვანა და ვერ უჩვენა თავისი ძალა. სუდში გამოძიებულ და განჩხრეკილ საქმეს უეზდის უპრავლენია რევიზიას უშერება! შემდეგ ამისა რა პატივი და მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ხალხში?

ეს საქმე მაშინ მომხდარა როდესაც დოკტორს ფორაქოვს ჰქონდა პოდრიადი მეშების და ნაჩალნიკი დადიოდა უეზდში...

ამ პორადზედ ჩემს დავთარში მიწერია რამოდენიმე ამბები, რომელთაც ამოვწერ ამ მოკლე დროს და გაცნობებთ. ამ ჟამათ კი ესეც კმარა...

ანი

დ. ახალ-სენაკი, 15 ივლისს. ჩამოველ თუ არა სოფლიდამ ახალ-სენაკს, აქ დამიხვდა დიდი გროვა ხალხისა. ნაცნობებმა მითხრეს, დღეს მილიციონერების მიღება არისო, წავიდეთ უეზდის სასამართლოში და უყუროთო. ფარი არც მე მითქვამს და წავედით.

როცა მიუახლოვდით სასამართლოს და კიბეზედ ფეხი ავდგი, ყაზახი-რუსები დაგვიხვდა, რომლებმაც ნება არ მოგვცეს ზევით ბალკონზედ ასვლისა. მაგრამ ერთი ჩემი ამხანაგთაგანი ცოტა განვლენილი იყო იმათზედ და უბრძანა, რომ ჩვენთვის გზა მოეცა.

კამმისია შესდგებოდა ადგილობრივი ადმინისტრატორებისგან, მიროვის პოსრედნიკებისაგან, სამხედრო სასამართლოს მხრით მიმღები პირისაგან და ორი სამხედრო და სამოქალაქო დოქტორებისაგან.

შემოიყვანეს 32 დარჩეული ლომივით ყმაწვილები და დაიმწკრივნენ ორ რაზმად. იმათი შეხედულებისაგან ყველა კამისიის წევრების სახეზედ კმაყოფილების ნიშანმა გარდირბინა, და იმათ რიცხვში მეც სასიამოვნოდ დამრჩა, რომ დავინახე მათი პირველიდან უკანასკნელამდე ლაზათიანობა და მხიარული სახის გამომეტყველობა.

დოქტურებმა, რასაკვირველია, ჩვეულებრივად ყველა დაათვალიერეს და იმათგან ერთს მიაქციეს განსაკუთრებითი ყურადღება, რადგანაც მასზედ რამოდენიმე ეჭვი დაებადათ, ეს საეჭვო გაიყვანეს, გააძვრეს ტანისამოსი და ძალიან დაკვირვებით გაშინჯეს; ბოლოს ერთის ხმით განუცხადეს კამისიას, რომ ის არ იყო გამოსადეგი მილიციონერად, რადგანაც ერთ გვარი სნეულესისაგან გული დაკოდილი აქვსო.—კამმისია, რასაკვირველია, დათანხმდა დოქტორების ჰაზრს და გადაწყვიტეს იმ მილიციონერის განთავისუფლება. მაგრამ ამ დროს ერთმა წევრმა, გაიგო თუ არა კამმისიის აზრი იმ მილიციონერის მიუღებლობაზედ, დაიყვირა დამტვრეულ რუსულს ენაზედ:

„— Нѣтъ господинъ камисія, доктора вретъ, онъ савсемъ здаровый человекъ, если вы не приметъ, я Губернаторъ сичасъ жалоба пашлу!..“ ამ სიტყვებმა მეტად გააკვირვა კომისიის დანარჩენი წევრები.

იმათ უთხრეს: „უფალო, თქვენ ამაზედ რა გაწუხებსთ? ჩვენ ასე გვიცვნია ეს კაცი და თქვენ, თუ არ გჯერათ შეგიძლიან თქვენის ხარჯით გაგზავნოთ ის ქუთაისში და იქ მეორეჯერ გადაამოწმებინოთ დოქტურებს.“

მართლაც, ამ ერთი წევრის მოთხოვნილებით ის კაცი გაგზავნეს ქუთაისში შესამოწმებლად, მაგრამ იქაურ დოქტორებმაც იცნეს ავათ-მყოფათ და დააბრუნეს უკანვე... ამბობენ, რომ ამ წევრს რაღაც სრულებით უბრალო, კერძო უკმაყოფილება ჰქონდა ხსენებულ პირთანაო და ამის გამო ჯავრის ამოსაყრელად უნდოდა იმის ჩარიცხვა მელიციაშიო.

კაცია უეჭველი

ომის შემდეგ

ინგლისი

გაზეთს „ტაიმსში“ დაბეჭდილია პროექტი იმ რეფორმებისა (ცვლილებებისა), რომელიც ოსმალეთის მთავრობამ, ინგლისის მოთხოვნილებით, უნდა შემოიღოს მცირე აზიაში. ამ პროექტში, სხვათა შორის, მოხსენებულია შემდეგი მუხლები: მცირე აზიაში უნდა იქნეს დანიშნული ღუბერნატორი, რომელსაც ყოველი უფლება და მოვალეობა კარგათ ექნება განსაზღვრული; პოლიციამ ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ ხალხი უკანონოთ ბოროტი პირებისაგან არ იქნეს შეწუხებული; ხალხის გარდასახადის მოკრება იჯარით არავის არ უნდა მიეცეს, მთავრობისაგან დანიშნულ პატიოსან პირებმა უნდა მოკრიბონ; ოსმალეთის ხონთქარს მცირე აზიაში ისეთივე უზენაესი უფლება ექნება, როგორც დღემდინ ჰქონდა და სხვ.

— „Indép. Belge“-ში იწერებიან ბერლინიდამ:

„აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ, თუმცა ბერლინის კონგრესის გარდაწყვეტილებამ იტალია და განსაკუთრებით საბერძნეთი სრულიად არ დააკმაყოფილაო, მაგრამ საქმე იქამდინ არ მივაო, რომ იტალიას და ინგლისს ან ოსმალეთსა და საბერძნეთსა შუა შეტაკება, ომი მოხდესო.“

— ამავე გაზეთის სიტყვით, ინგლისმა ახლავე დაიწყო მეცადინეობა, რომ მაგრად ჩადგას ფეხი მცირე აზიაში: შეუდგენიათ საზოგადოება, რომელმანც მდ. ევფრატისაკენ რკინის გზა უნდა გაიყვანოს; მთავრობა დიდ შემწეობას დაჰპირდა ამ საზოგადოებას. ამას გარდა მცირე აზიის ყველა სამზღვრებზე ინგლისი აყენებს ჯარებს.“

ოსმალეთი

ყარათეოდორ-ფაშასა და მეჰმედ-ალის, რომელნიც ოსმალეთის წარმომადგენელად იყვნენ ბერლინის კონგრესზე, ჰქონია ავსტრიასთან მოლაპარაკება ბოსნიისა და ჰერცოგოვინის თაობაზე. ამბობენ, ოსმალეთს ჰსურს ავსტრიასთან შეჰკრას პირობა, რომლის ძალითაც იმას მინიჭებული ექნება ოსმალეთის ევროპის დაცვა და მფარველობა ისე, როგორც მცირე აზია ინგლისსა აქვს.

საბერძნეთი

უეჭველია, რომ საბერძნეთის ხალხი დიდ უკმაყოფილობას აცხადებს ბერლინის კონგრესზე, რომელმანც იმას არაფერი არ არგუნა. კონგრესსის გარდაწყვეტილებით, „ოსმალეთმა და საბერძნეთმა ერთმანეთში უნდა მოილაპარაკონ თავიანთ სამზღვრების შესწორებაზედ.“ ოსმალეთს ეს „სამღვრების შესწორება ასე ესმის ანუ ასე ჰსურს გაიგოს, რომ რამდენსაც მე დავუთმობ საბერძნეთს, იმდენიც იმან მაგიერი მიწა და მცხოვრებლები უნდა დამითმოსო. საბერძნეთს კი ეპირისა და თესალიის მიღება და სრულებით დათმობა ჰსურს.

როგორც ამას წინათაც მოვიხსენიეთ, ამ საგნის შესახებ ამ ჟამად ოსმალეთისა და საბერძნეთის ელჩებს შუა არის მოლაპარაკება და იმედი აქვთ, რომ ეს მოლაპარაკება მშვიდობით გათავდება.

— ერთს ფრანცუზულს გაზეთში

იწერებიან, ვითომც რამდენიმე ასი ბა-რიბალდიელები აპირებენ თესალიაში გადასვლას და იქაურს აჯანყებულს ბერძნებს უნდა დაეხმარონ ოსმალეთის მფლობელობისაგან განთავისუფლებაში. არა გვგონია, რომ ეს ამბავი მართალი იყოს.

განცხადებანი

ამ თვის 15-დამ ვიდრე თვის დამლევამდინ დანიშნულია შემდეგი **ტაქსია ხორაგეულისა**, რომელიც ქალაქის ბაზრებში და დუქნებში ისყიდება:

გ ა მ ო მ ც ხ ვ ა რ ი პ უ რ ი:

რუსეთის ხორბლისაგან გირვანქა—12 კ.
ოდესის ფქვილისა— — — — 6 კ.
ადგილობრივი ფქვილის ფურნეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის, 5 გირვანქა—აბაზი
მეორე ხარისხის 6 გირვანქა—აბაზი
მესამე „ 7 გირვანქა—აბაზი
ჯვარის-მამის პურის $3^1/_2$ გირვ.—აბაზი
ლავაში პირვ. ხარისხის $2^1/_2$ გირვ.—აბაზი
„მეორე ხარისხის(თათრის) 4 გირვ.—აბაზი

ძ რ ო ხ ი ს ხ ო რ ც ი:

პირველი ხარისხის უძვლო 1 გირვ.—9 კ.
მეორე ხარისხის ძვლიანი 1 გირვ.—7 „
სუკი 1 გირვ.— — — —15 „

ც ხ ვ რ ი ს ხ ო რ ც ი:

ერთი გირვანქა — — — —9 კაპ.
ადგილობრივი ყველი 1 გირვ.—15 კაპ.

ეს ტაქსია არ შეეხება სოფლის მწარმოებელთ, რომელთაც სხვა-და-სხვა ხორაგეული შემოაქვთ ქალაქში და მაედნებზედ და ბაზრებში ჰყიდიან.

(3—2)

კავკასიის საბებიო ინსტიტუტისაგან

ვისაც ამ ინსტიტუტში შესვლა ჰსურს ბებიობის სწავლისათვის, თხოვნა უნდა მისცეს კავკასიის სამოქალაქო საექიმო უწყების გამგებელს (სასპიტრის ქუჩაზე, თ. რ. ანდრონიკაშვილის სახლებში).

ინსტიტუტში კურს გათავებულებს ეძლევათ ქალაქის და უეზდის ბებიობის დიპლომი და იმათ სახელმწიფო სამსახურში მიიღებენ.

ინსტიტუტის უმაღლესს განყოფილებაში შესვლის მსურველმა უნდა იცოდეს: რუსული ენიდამ: მართლ-წერა და კითხვა, სიტყვიერად თქმა და დაწერა წაკითხულისა; არითმეტიკიდამ: პირველი ოთხი არითმეტიული მოქმედება, სახელობითი რიცხვნი და სრულის ნაწილები (დრობები). ვინც ინსტიტუტის მდაბალ განყოფილებაში შედის, იმას მოეთხოვება მარტო რუსული წერა-კითხვის ცოდნა და სიტყვიერად ახსნა წაკითხულისა. ამ განყოფილებაში კურს-შესრულებულთ ეძლევათ სოფლის ბებიობის დიპლომი (მოწმობა).

ინსტიტუტში შესასვლელი ქალი 16 (თექვსმეტის) წლის ნაკლების არ უნდა იყოს და 30 (ოც-და-ათზე) უხნესი.

თხოვნასთან უნდა იქნეს წარდგენილი: მეტრიკული მოწმობა დაბადებაზედ, მონათვლისა და ამას გარდა დედ-მამის ნებართვა ან ქმრისა, თუ ქმრიანია, რომ ისინი დაბრკოლებას არ აძლევენ ინსტიტუტში შესვლისათვის.

ს წ ა ვ ლ ი ს ფ ა ს ი: მომსვლელ შაგირდებისათვის წელიწადში 40 (ორმოცი) მანეთი, პანსიონერკებისა, რომელნიც ინსტიტუტის სრულს ხარჯზე იქნებიან, 200 (ორასი) მანეთი წელიწადში და ამას გარდა შესვლისათანავე ჩაცმა-დახურვისათვის კიდევ 60 (სამოცი) მან.

სწავლის ფასი მთელის წლისა წლის დამდეგს უნდა იქნეს შეტანილი.

სწავლა ორ წელიწადს გრძელდება; პირველ კურსში ასწავლიან: ანატომიას, ფიზიოლოგიას, ბებიობას, წამლების გამოცნობას და დამზადებას და დაჭრილების მოვლას. მეორე კურსში: ბებიობას, ქალის, ყმაწვილისა და სიფილისის ავათმყოფობის ექიმობას, გიგიენას და ყვავილის აცრას.

ეგზამენები ინსტიტუტში მისაღებ ქალებისათვის დანიშნულია 22 აგვისტოს.

(3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. ზიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და თელავს სასულიერო სასწავლებელში უფ. ჩანცევთან ახალი წიგნი.

ლექსთა კრება

თ. გრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძისა, ივანე კერესელიძისა, იოსებ ბაქრაძისა და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული
ზაქარია ჭიჭინაძისა
ფასი ორი შაური.

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული გრ. რჩეულოვის რომანიდგან „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს თ ა მ ა რ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი“

კ. მესხისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნის მაღაზიებში,
ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	8	43			8	57	4	76
ფოთი. . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . .	9	83						
ახ.-სენაკი.	10	14			1	18	-	66
სამტრედია.	11	5			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 18 ივლისს.		
ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ.	1	50
ფქვილი წითელი. . .	1	30
ქერი ფუთი . . .	1	15
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	—
—ამერიკისა, ფუთი . .	8	—
გაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფთ.	8	—
—თარაქამისა ფთ. .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	6	50
ქონის სანთელი ფუთი.	9	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	80
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა .	—	81
სპირტი, ვედრო . .	5	20
შაქარი, გროც. ფუთი .	7	80
—ფხვნილი ფუთი . .	6	40
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	8	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: მიუჩარიანც—ხირურგი, გარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტოვი—ბებიობის თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. გავრინსკი—თვალის და ობრეხტი—კბილის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და მიუჩარიანცი.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკეტი—გულის და ნერვების.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Іюля 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.